შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
“კირკიტაძე და კომპანია”

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, აეროპორტის დასახლებაში (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.19.30.001.009), საკადასტრო გეგმის მიხედვით №6/1 შენობის კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ



თბილისი 2014 წ.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
“კირკიტაძე და კომპანია”

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, აეროპორტის დასახლებაში (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.19.30.001.009), საკადასტრო ბეჭდის მიხედვით №6/1 შენობის კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ

შ.პ.ს. “კირკიტაძე და კომპანია”- ს დირექტორი — რ. კირკიტაძე

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი — რ. აფხაძე

თბილისი 2014 წ.

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, აეროპორტის დასახლებაში (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.19.30.001.009), საკადასტრო გეგმის მიხედვით №6/1 შენობის კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ

ქ. თბილისი 2014 წლის 01 დეკემბერი

შ.პ.ს. "საქართველოს ფოსტა"-სთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე დაისახა კვლევის მიზანი, ქ. თბილისში, აეროპორტის დასახლებაში (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.19.30.001.009, საჯარო რეესტრიდან ამონაწერის განცხადების რეგისტრაციის №882014083326 18/02/2014), საკადასტრო გეგმის მიხედვით №6/1 შენობის კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა, მასზე ახალი ბლოკის მიშენების შემთხვევაში მათი შემდგომი უსაფრთხო ექსპლოატაციის მიზნით.

"საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტრო"-ს მიერ 1992 წელს გამოცემული – "საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქციისა" და СП-13-102-2003-ის "შენობებისა და ნაგებობების მზიდი სამშენებლო კონსტრუქციების გამოკვლევების წესები"-ს მოთხოვნათა გათვალისწინებით განისაზღვრა სამუშაოს მეთოდიკა და ამოცანები.

1. შენობის გეომეტრიული პარამეტრების დადგენა.
2. შენობის ვიზუალურ-ტექნიკური გამოკვლევა.
3. კვლევის შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება.

I. შენობის გეომეტრიული პარამეტრების დადგენა

შ.პ.ს. "კირკიტაძე და კომპანია"-ს საპროექტო ჯგუფის მიერ შესრულებულ იქნა შენობის შიგა აზომვითი ნახაზები, რომლებიც გამოყენებულ იქნა შენობის გაბარიტული ზომებისა და მათი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების გეომეტრიული პარამეტრების დასაზუსტებლად. პარალელურად შესწავლილ იქნა შენობის კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობა.

II. შენობის ვიზუალურ-ტექნიკური გამოკვლევა

ვიზუალურ-ტექნიკური გამოკვლევის დროს განვახორციელეთ აზომვითი ნახაზების შედარება არსებულ სიტუაციასთან.

"დაპროექტების ნორმების – "სამშენებლო კლიმატოლოგია"-ს მიხედვით ქ. თბილისის ამ უბნისათვის (აეროპორტის მიდამოები): თოვლის საფარის წონა შეადგენს 0,50 კპა-ს, ხოლო ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა კი 1,44 კპა-ს (15 წელიწადში ერთხელ). სამშენებლო ნორმებისა და წესების – "სეისმომედეგი მშენებლობა" (პნ 01.01-09)-ს სეისმური საშიშროების რუკის დანართის მიხედვით ქ. თბილისი მდებარეობს 8-ბალიანი სეისმური ინტენსივობის ზონაში.

ჩვენს მიერ შესწავლილი შენობა შედგება ორი ბლოკისაგან: ორსართულიანი (ნახევრადსარდაფით) საოფისე კორპუსისა და ერთსართულიანი სასაწყობე კორპუსისაგან, რომლებიც ერთმანეთისგან გამოყოფილნი არიან სეისმური ნაკერით. ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს II-კორპუსი, რადგანაც სწორედ ამ კორპუსზე უნდა განხორციელდეს ახალი, ერთსართულიანი, სასაწყობე დანიშნულების შენობის მიშენება თავისუფალი ტორსის მხრიდან.

I-ბლოკი გეგმაში მარტივი სწორკუთხა ფორმისაა, გაბარიტული ზომებით გეგმაში 12,0 x 31,50 მ. (ღერძებს შორის), რომელსაც გრძელი მხრიდან, სეისმური ნაკერის გათვალისწინებით, მიშენებული აქვს II-ბლოკი. I და II ბლოკის ღერძებს შორის მანძილი 1000 მმ-ია.

II-ბლოკი გეგმაში მარტივი, სწორკუთხა ფორმისაა. შენობა ერთსართულიანია, გაბარიტული ზომებით 18,0 x 30,0 მ. (ღერძებს შორის). შენობა ერთმალიანია, შესრულებულია პოლონური წარმოების მოდულის ტიპის, ლითონის კონსტრუქციის მზიდი ჩარჩოებით. შენობის შიგნით, ეზოს მხრიდან პირველი ღერძის გასწვრივ, ჩაშენებულია ანტრესოლის სართული, რომელზეც კომუნიკაცია ხორციელდება ლითონის კიბით. ლითონის მზიდი კარკასის სვეტები დამონტაჟებულია მონოლითური რკინაბეტონის წერტილოვან საძირკვლებზე, რომელთა შენაჭერი სიბრტყე ერთმანეთთან დაკავშირებულია მონოლითური რკინაბეტონის საძირკვლის კოჭებით. საძირკვლის კოჭები ამავე დროს ასრულებენ შენობის ცოკოლის მოვალეობასაც. II-ბლოკის გარე პერიმეტრზე შემომზღუდავ კონსტრუქციებად გამოყენებულია ლითონის სამშრიანი საკედლე პანელები პოლიქაფურეთანის დამათბუნებელი შრით (ე.წ. "სენდვიჩპანელები"). სახურავი ორქანობიანია, ჩარჩოს ლითონის კოჭებზე მოწყობილია ლითონის გრძივები, რომლებსაც ეყრდნობა სახურავის ბურული, ლითონის სამშრიანი სახურავის ე.წ. "სენდვიჩპანელები" პოლიქაფურეთანის დამათბუნებლით.

III. კვლევის შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება

ქ. თბილისში, აეროპორტის დასახლებაში (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.19.30.001.009, საჯარო რეესტრიდან ამონაწერის განცხადების რეგისტრაციის №882014083326 18/02/2014), საკადასტრო გეგმის მიხედვით №6/1 შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლისა და გამოკვლევის შედეგების ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შესწავლილი შენობის ორთავე ბლოკი თავიანთი საანგარიშო სქემით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. I-ბლოკის საანგარიშო სქემა კარკასულია, შესრულებულია მონოლითური რკინაბეტონის სივრცული ჩარჩოს ელემენტებისაგან. რაც შეეხება II-ბლოკს მისი საანგარიშო სქემაც კარკასულია, მაგრამ შესრულებულია ლითონის განივი ჩარჩოვანი ელემენტებისაგან.

შესწავლილი შენობა აშენებულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების – "სეისმომედეგი მშენებლობა" (პნ 01.011-09)-ს მოთხოვნათა გათვალისწინებით. ანტისეისმური ნაკერი მოწყობილია, I და II ბლოკებს შორის (შენობების კარკასის ელემენტების მასალების სხვაობის გამო).

შენობის მზიდი კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლის შედეგად დავრწმუნდით, რომ შენობას კარგად აქვს გადატანილი საქართველოში და მის მეზობელ ქვეყნებში ბოლო დროს მომხდარი მიწისძვრების ზემოქმედების შედეგები და მისი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების არცერთ ხილულ ზედაპირზე არ შეინიშნება არც ბზარები და არც დეფორმაციები.

ექსპერტის მოსაზრებით, საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნათა გათვალისწინებით დამუშავებული პროექტის საფუძველზე ხარისხიანად შესრულებული სამშენებლო სამუშაოების შემდეგ უზრუნველყოფილი იქნება შენობის მდგრადობა და მისი უსაფრთხო ექსპლოატაცია.

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი  რ. აფხაძე